



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების სახელმწიფო  
მომსახურების სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

 ფრიდონ შენგელია

„28“ 02 2014 წელი

ეგზ. N2

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის  
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში  
2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

 5/00

## შინაარსი

|                                                                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| დასკვნა ფინანსური ანგარიშის შესახებ.....                                                                               | 3  |
| პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშის შესახებ .....                                            | 4  |
| დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ .....                                  | 6  |
| პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ..... | 7  |
| ინფორმაცია ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯების შესახებ.....                                          | 13 |
| ინფორმაცია პროექტების შესახებ .....                                                                                    | 14 |
| ფორმა N1 - ბალანსი 2011.....                                                                                           | 20 |
| ფორმა N1 - ბალანსი 2012.....                                                                                           | 21 |
| ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011 .....                                             | 22 |
| ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012 .....                                             | 23 |
| ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ 2011.....                                      | 24 |
| ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ 2012.....                                      | 24 |
| ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ 2011 .....                      | 25 |
| ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ 2012.....                       | 25 |
| ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011.....                                                               | 26 |
| ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2012.....                                                               | 27 |
| ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011 .....                                           | 28 |
| ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2012 .....                                           | 29 |
| ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011 .                                      | 30 |
| ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2012 .                                      | 31 |

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

### საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის (შემდგომში „აპარატი“) ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსებს 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს. თითოეული პერიოდის აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ფორმა N2, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ ფორმა N2-1, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ ფორმა N2-2, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ ფორმა N3, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ფორმა N5 და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ფორმა N6.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

**პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

### ძირითადი საშუალებები

აპარატის ბალანსი არასრულად ასახავს არაფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ანგარიშზე - „შენობა-ნაგებობები“ (2110) აღრიცხული არ არის ის შენობები, რომლებშიც განთავსებულია

აპარატის რეგიონული ოფისები, კერძოდ: ქ. ქუთაისი - რუსთაველის გამზირი N18, ქ. ზუგდიდი - კოსტავას ქ. N58, ქ. ახალქალაქი - ჭავჭავაძის ქ. N4, ქ. მარნეული - რუსთაველის ქ. N51, ქ. გორი - სამების ქ. N1 და ქ. ბათუმი - მაზნიაშვილის ქ. N9. აღნიშნული შენობები არ არის შეფასებული.

## მივლინება

2012 წელს აპარატის მიერ მივლინებული პირების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნების წარმოშობა მივლინების თანხების ავანსად გაცემის შემთხვევაში აღრიცხულია 3234 ანგარიშზე „ვალდებულებები ბარტერიტ“ და ხარჯებში ასახულია 7210 ანგარიშზე „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“, რითაც დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის 21-ე პუნქტი.<sup>1</sup> ავანსად გაცემული სამივლინებო თანხების ხარჯად აღიარება ხდებოდა არა ანგარიშვალდებული პირის მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, არამედ მივლინების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღისათვის.

## პირობითი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

---

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 21-ე პუნქტი: „მივლინებული პირების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნების წარმოშობა მივლინების თანხების ავანსად გაცემის შემთხვევაში აღრიცხება მოთხოვნები მივლინებით (1461/1462) შესაბამისი ანგარიშის დებეტსა და ფულადი სახსრების (1100-1200) შესაბამისი ანგარიშების კრედიტში. მოთხოვნის დაფარვა აისახება 1461/1462 ანგარიშების კრედიტში, მივლინების (7220) ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.“

დასკვნა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელმძღვანელობას

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აპარატის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

### ძირითადი აქტივები

აპარატის მიერ საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული მის სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ქ. ზუგდიდი - კოსტავას ქ. N58, ქ. ახალქალაქი - ჭავჭავაძის ქ. N4, ქ. მარნეული - რუსთაველის ქ. N51 და ქ. ბათუმი-მაზნიაშვილის ქ. N9.), რითაც დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი.<sup>2</sup>

აპარატის ბალანსზე არ არის აღრიცხული სახელმწიფოს მიერ 2002-2011 წლებში გადაცემული ქონება, კერძოდ, ქ. ქუთაისი -რუსთაველის გამზირი N18, ქ. ზუგდიდი - კოსტავას ქ. N58, ქ. ახალქალაქი - ჭავჭავაძის ქ. N4, ქ. მარნეული - რუსთაველის ქ. N51, ქ. გორი - სამების ქ. N1 და ქ. ბათუმი - მაზნიაშვილის ქ. N9, რითაც დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტი.<sup>3</sup>

### ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია

საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის 6 მაისის N46 ბრძანებით 2011-2012 წლებში განხორციელებულია ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. საინვენტარიზაციო აღწერილობაში არ არის აღრიცხული აპარატის რეგიონული ოფისების შენობა-ნაგებობები და არ არის შედგენილი ცალკე შედარების უწყისი, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო

<sup>2</sup> „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-მუხლის მე-3 პუნქტი: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს იმ სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ფიზიკურმა პირმა, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება“.

<sup>3</sup> „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-მუხლის მე-10 პუნქტი: „სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას სარგებლობის უფლების გამცემი პირი ბალანსიდან იხსნის გადაცემულ სახელმწიფო ქონებას, ხოლო სარგებლობის უფლებით მიმღებ პირს ბალანსზე აჰყავს აღნიშნული ქონება“ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტი: „არსებული არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის აღრიცხვაში ასახვის დრო დგება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა“.

ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3, მე-4, მე-6 პუნქტები და მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.<sup>4</sup>

## მივლინება

2011 წელს მივლინების მუხლით გაწეულმა საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 57 932 ლარი. მათ შორის, მივლინება ქვეყნის შიგნით 5 853 ლარი და მივლინება ქვეყნის გარეთ 52 079 ლარი, ხოლო 2012 წელს 63 571 ლარი (საიდანაც 27 935 ლარი წარმოადგენს გრანტის ფარგლებში გაწეულ სამივლინებო ხარჯებს). მათ შორის, მივლინება ქვეყნის შიგნით 13 895 (გრანტის ფარგლებში 8 934 ლარი) ლარი და ქვეყნის გარეთ 49 676 (გრანტის ფარგლებში 18 990) ლარი.

2011 და 2012 წლებში სახალხო დამცველის აპარატში ქვეყნის გარეთ მივლინებული პირები რიგ შემთხვევებში არ წარმოადგენდნენ მგზავრობის დამადასტურებელ საბუთს - ჩასხდომის ბარათს, ან/და პასპორტის ასლს, რომელიც დაადასტურებდა საზღვრის კვეთის ფაქტს და შესაბამისად, დღიური, სასტუმროს და დანამატის სახით გაწეული ფაქტობრი ხარჯის რეალობას. აღნიშნულმა ხარჯმა შეადგინა 2011 წელს - 48 462 ლარი და 2012 წელს - 49 676 ლარი.

ქვეყნის გარეთ მივლინების მუხლით გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა სულ შეადგინა 21 964 ლარი. მათ შორის, 2011 წელს 14 809 ლარი და 2012 წელს 7 155 ლარი. მივლინების შესახებ ბრძანებებით განისაზღვრებოდა მივლინებულ პირებზე მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯების ანაზღაურება, დახარჯული თანხის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით (აღნიშნული კავშირგაბმულობის ხარჯი არ წარმოადგენს აპარატის თანამშრომლებისათვის სამსახურებრივი საქმიანობისათვის დადგენილი კავშირგაბმულობის ლიმიტის ფარგლებში გაწეულ ხარჯს, რომელიც გაიწევა ოფისის ხარჯის მუხლიდან). „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს

<sup>4</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი: „ისეთი აქტივები, რომლებიც აღრიცხვაში არ არის ასახული ან სააღრიცხვო რეგისტრებში შეტანილია არასწორად, საინვენტარიზაციო კომისიამ საინვენტარიზაციო აღწერილობაში უნდა ასახოს ან შეიტანოს სწორად“; მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი: „აღრიცხვავი აქტივების გამოვლენის შემთხვევაში, საინვენტარიზაციო კომისია ადგენს როდის ან ვისგან იქნა მიღებული აღრიცხვავი ობიექტი, ამ ობიექტზე გაწეული დანახარჯები რა პერიოდში და როგორ არის ასახული ორგანიზაციის აღრიცხვა-ანგარიშგებაში და მოკვლევის შედეგებზე ინფორმაციას ასახავს ინვენტარიზაციის აქტში და ახდენს აქტივების მარკირებას ...“ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი: „ინვენტარიზაციით გამოვლენილი აღრიცხვავი ობიექტები უნდა შეფასდეს მათ მიღებაზე (შემენა, წარმოება და ა.შ.) გაწეული დანახარჯების ღირებულებით, ხოლო ცვეთა განისაზღვროს მიღების თარიღისა და ცვეთის დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. თუ არსებული დოკუმენტაციით შეუძლებელია აღრიცხვავი ობიექტის ღირებულების განსაზღვრა, მისი განსაზღვრა ხდება საინვენტარიზაციო კომისიის მოთხოვნით, ორგანიზაციის მიერ მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე“; მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი: „იმ აქტივებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული საბალანსო ან საცნობარო მუხლებში, დგება ცალკე შედარების უწყისი.“

პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება<sup>5</sup> არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის ქვეყნის გარეთ მივლინების პერიოდში კავშირგაბმულობის ხარჯების ანაზღაურებას.

### კრედიტორული დავალიანება

2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აპარატის ბალანსზე ირიცხება 1996-2006 წლებში წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები 357 648 ლარის ოდენობით. მათ შორის: 17 034 ლარი - ანარიცხები დამქირავებლიდან; 316 428 ლარი - შპს „ანმა“-ს მიერ 1998-99 წლებში შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება (ქ.თბილისში მაჩაბელის ქ. N11-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოები, სადაც 2010 წლის ივნისამდე განთავსებული იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი); 24 000 ლარი - ფონდ „ლიტერატორთა სახლი“-ს მიმართ საიჯარო გადასახადი და 186 ლარი შპს „საქართველოს ტელეკომისა“ და შპს „ახალი ქსელების“ სატელეფონო საუბრების ღირებულება. აპარატის მიერ არ ჩატარებულა კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.<sup>6</sup>

### სახელმწიფო შესყიდვები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2011 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენილია შესყიდვების გეგმა თანხით 388 109 ლარი, რომელიც წლის განმავლობაში კორექტირებულია 12-ჯერ და საბოლოო გეგმამ შეადგინა 470 905 ლარი,

<sup>5</sup> „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების მე-7 პუნქტი და დანართი N3.

<sup>6</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი:

„ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია შემდეგ ვადებში: ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების - წელიწადში ორჯერ მაინც.“

ხოლო 2012 წელს სააგენტოში წარდგენილია შესყიდვების გეგმა თანხით - 464 536 ლარი, რომელიც წლის განმავლობაში კორექტირებულია 4-ჯერ და საბოლოო გეგმამ შეადგინა 487 171 ლარი.

## 2011 წელი

| № | შესყიდვის საშუალება               | ხელშეკრულების რაოდენობა | ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება (ლარში) | გადახდა (ლარში) |
|---|-----------------------------------|-------------------------|-------------------------------------------|-----------------|
| 1 | გამარტივებული შესყიდვა            | 150                     | 136 280                                   | 109 975         |
| 2 | გამარტივებული ელექტრონული ტენდერი | 27                      | 254 595                                   | 239 060         |
| 3 | სულ                               | 177                     | 390 875                                   | 349 035         |

## 2012 წელი

| № | შესყიდვის საშუალება               | ხელშეკრულების რაოდენობა | ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება (ლარში) | გადახდა (ლარში) |
|---|-----------------------------------|-------------------------|-------------------------------------------|-----------------|
| 1 | გამარტივებული შესყიდვა            | 152                     | 104 830                                   | 98 244          |
| 2 | გამარტივებული ელექტრონული ტენდერი | 22                      | 194 246                                   | 185 380         |
| 3 | კონსოლიდირებული ტენდერი           | 2                       | 80 390                                    | 66 852          |
| 4 | სულ                               | 176                     | 379 464                                   | 350 476         |

შერჩევითი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ორგანიზაციის მიერ შესყიდვები არ ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად (მაგ.: დაცვის მომსახურებები 2011 წელს გეგმის თანახმად - 29 500 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 30 975 ლარი, ანალოგიური მომსახურება 2012 წელს გეგმით - 29 210 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 30 480 ლარი; სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები 2011 წელს გეგმით - 25 000 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 48 999 ლარი, ხოლო 2012 წელს გეგმით -31 000 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 31 857 ლარი; დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები 2011 წლის გეგმით - 32 000 ლარი, ხოლო განხორციელებული შესყიდვა 33 700 ლარი; საფოსტო მომსახურება 2012 წელს გეგმით - 12 155 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 13

355 ლარი; ინტერნეტ- მომსახურება 2012 წელს გეგმით - 33 000 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 36 100 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები 2012 წელს გეგმით - 30 000 ლარი, განხორციელებული შესყიდვა - 53 188 ლარი). არ არის დაცული „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნა.<sup>7</sup>

შესყიდვების დაგეგმვისას ხარჯები არარაციონალურად არის შეტანილი ბიუჯეტში, რაც შემდგომში იწვევს ბიუჯეტში შესყიდვებისთვის გათვალისწინებული თანხების (2011-2012 წლებში ჯამში - 229 582 ლარი) სხვა მუხლებში გადანაწილებას. აღნიშნული მიუთითებს შესყიდვების მართვის პროცესთან დაკავშირებულ ხარვეზზე, რაც გამოიხატება შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზების შედეგად საქონლის/მომსახურების შესყიდვისათვის სახელშეკრულებო პირობების არასრულყოფილად ჩამოყალიბებაში.

|         | წლიური<br>გეგმა<br>(ლარი) | გაფორმებული<br>ხელშეკრულება<br>(ლარი) | მოწოდებული/გაწეული<br>საქონელი/მომსახურება<br>(ლარი) | გადახრა (გეგმასა და<br>მოწოდებულ/გაწეულ<br>საქონელს/<br>მომსახურებას შორის) |
|---------|---------------------------|---------------------------------------|------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|
| 2011 წ. | 470 905                   | 390 875                               | 349 035                                              | 25.8 %                                                                      |
| 2012 წ. | 487 177                   | 379 465                               | 350 476                                              | 28.1 %                                                                      |

2011 და 2012 წლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია, თანხით 56 087 ლარი (2011წ. - 27 725 ლარი, 2012 წ. – 28 362 ლარი) მიმართულია შრომის ანაზღაურების მუხლში, კერძოდ პრემიების დასაფინანსებლად.

რიგ შემთხვევებში იკვეთება არსებითი სხვაობა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის (მაგ. დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 31 500 ლარს, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება -26 998 ლარს; საფოსტო და საკურიერო მომსახურებების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 12 000 ლარს, ხოლო სახელშეკრულებო

<sup>7</sup> „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი: „შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად“.

ღირებულება - 4 800 ლარს;), რაც მიუთითებს ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის არასათანადოდ ჩატარებასა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად შეუსაბამო ფასის განსაზღვრაზე. ასევე უგულებელყოფილია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიზანი - სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, რადგან აღნიშნული სხვაობები რიგ შემთხვევებში გამოწვეულია იმით, რომ აპარატის მიერ სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრულია 12 თვის მომსახურების ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების ნაწილი უკვე შეძენილია გამარტივებული შესყიდვით (გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით), ხოლო სავარაუდო ღირებულების შესაბამისად ფასის დაკორექტირება აპარატის მიერ აღარ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, კონკურენციის არ არსებობის შემთხვევაში, გაუმართლებლად ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს.

შემოწმებისას გამოვლინდა, რომ სახელშეკრულებო ღირებულებებსა (390 875 ლარი) და მოთხოვნის შესაბამისად განხორციელებულ მიწოდებებს (349 035 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულებების 10.7 %-ს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციის მიერ შესყიდვების განხორციელებისას რაციონალურად არ არის გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა.

აპარატსა და შპს „ორიენტ ლოჯიკს“ შორის გრანტის ხელშეკრულება N226-ის ფარგლებში, 2011 წლის 6 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება NSPA110029394 ღირებულებით 10 500 ლარი, რომლის თანახმად შპს „ორიენტ ლოჯიკი“ უზრუნველყოფდა სახალხო დამცველის აპარატს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურებით, რომელიც ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ ექსპერტის დადებითი დასკვნის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. აპარატმა ექსპერტის დასკვნა ვერ წარმოადგინა, რითაც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი.<sup>8</sup>

---

8 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე“.

## პირობითი აუდიტორული მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, აპარატის ფინანსური საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით გარდა, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხებისა, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს.

### ინფორმაცია ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების შესახებ

აპარატის მიერ 2011 წელს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმებულია 48 999 ლარზე, მათ შორის გამარტივებული ელექტრონული საშუალებებით შესყიდულია 15 400 ლარის მომსახურება, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 33 599 ლარის მომსახურება (აღნიშნული გამარტივებული შესყიდვა განხორციელებულია „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვარის N26 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა). 2011 წელს აღნიშნულ მომსახურობებზე სულ გადახდილი თანხა შეადგენს 26 680 ლარს.

2012 წელს სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები შესყიდულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და ხელშეკრულებები გაფორმებულია 31 857 ლარზე, აქედან 30 550 ლარის შესყიდვა განხორციელებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვარის N26 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო

შესყიდვა. 2012 წელს აღნიშნულ მომსახურობებზე სულ გადახდილი თანხა შეადგენს 28 897 ლარს.

## ინფორმაცია პროექტების შესახებ

### გაეროს განვითარების პროგრამა

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის N 1934 – II ს დადგენილებით რატიფიცირებულია ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულება დახმარების შესახებ საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 2011-2012 წლებში საქართველოს მთავრობა და გაეროს განვითარების პროგრამა ერთობლივად ახორციელებს პროექტს - სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის ხელშეწყობა სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერის გზით (ოფისის გაძლიერება, ადამიანის უფლებების და მათი დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, საექსპერტო დახმარება, აპარატის მხარდაჭერა სამოქალაქო განათლების სფეროში, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა).

### პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები

1. საექსპერტო დახმარება სახალხო დამცველის ანაგარიშების, რეკომენდაციების და წინადადებების მომზადებაში; მხარდაჭერა საკონსტიტუციო სარჩელების მომზადებაში; კანონმდებლობის და სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი და სხვა.
2. სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა სამოქალაქო განათლების სფეროში - სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების სფეროში ცნობიერების ამაღლებას; ადამიანის უფლებათა დღის ორგანიზების მხარდაჭერა; ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება საქართველოს რეგიონებში - რეგიონული ოფისების მხარდაჭერა; რეგიონებში დისკუსიების და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების მხარდაჭერა და შესაბამისი პუბლიკაციების/მასალის მომზადება.

3. უმცირესობების უფლებების დაცვა - სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მხარდაჭერა- რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების დაცვის ხელშეწყობა; უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შშმპ) უფლებების დაცვის მხარდაჭერა - სახალხო დამცველთან არსებული შშმპ ცენტრის მხარდაჭერა.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსება შეადგენს (ორგანიზაციული კოდი - 41 02):

| წელი        | ნაშთი წლის დასაწყისისთვის (მოთხოვნა გაეროს მიმართ) | სახელმწიფოს მიერ დაფინანსება | ათვისება       | ნაშთი წლის ბოლოსთვის (მოთხოვნა გაეროს მიმართ) |
|-------------|----------------------------------------------------|------------------------------|----------------|-----------------------------------------------|
| <b>2011</b> | <b>9 180</b>                                       | <b>285 000</b>               | <b>209 553</b> | <b>84 627</b>                                 |
| <b>2012</b> | <b>84 627</b>                                      | <b>247 000</b>               | <b>323 755</b> | <b>7 872</b>                                  |

აღნიშნული ნაშთი (7 872 ლარი) 2013 წელს დაბრუნებულია გაეროს მიერ ბიუჯეტში.

პროგრამის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსება შეადგენს:

| წელი        | ნაშთი წლის დასაწყისისთვის | გაეროს მიერ დაფინანსება | ათვისება       | ნაშთი წლის ბოლოსთვის |
|-------------|---------------------------|-------------------------|----------------|----------------------|
| <b>2011</b> | -                         | <b>167 101</b>          | <b>167 101</b> | -                    |
| <b>2012</b> | -                         | <b>119 121</b>          | <b>119 121</b> | -                    |

აღნიშნული წარმოადგენს სახალხო დამცველის ოფისის დახმარებას (UNDP) (ორგანიზაციული კოდი - 41 02):

ვინაიდან აღნიშნული გრანტი წარმოადგენს უცხოეთიდან მიღებულ დაფინანსებას, რომლის ათვისებაც ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ანგარიშების გაუვლელად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ აღნიშნული თანხების ხარჯში ჩამოწერა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს

ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1318 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის შესაბამისად. გრანტის განმახორციელებელი - გაერო ინფორმაციას წარუდგენს სახელმწიფო ხაზინას და სახალხო დამცველის აპარატს. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში (ვალდებულება, საგადახდო მოთხოვნა და საკასო ხარჯი) აისახება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ხაზინაში წერილობით წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

### **მიზნობრივი გრანტები**

2011-2012 წლებში სახალხო დამცველის აპარატს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული აქვს მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტები (გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, ევროპის საბჭოს მიერ, ნიდერლანდების ევროპულ საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს მიერ, არასამეწარმეო იურიდიულ პირის - ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ (საქველმოქმედო ორგანიზაცია) მიერ, ევროპის კომისიის მიერ და სხვა.). აღნიშნული გრანტები ძირითადად გამოყოფილია შემდეგი მიზნებისთვის: სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად, სახალხო დამცველის ოფისის ბავშვისა და ქალის უფლებათა დაცვის ცენტრის მხარდაჭერა ბავშვის უფლებათა განხორციელების პოპულარიზაციისა და მონიტორინგის გასაძლიერებლად, სახალხო დამცველის ოფისის IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისთვის, ფსიქიატრიული ინსტიტუტებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგისთვის, ევროკავშირის დაფინანსების ახალი ინსტრუმენტის CIB (სრულყოფილი ინსტიტუტის ჩამოყალიბების) სამომავლო პროექტის გეგმის შემუშავებისთვის და სხვა.

### **მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები**

-იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი დაცვა და მასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები;

-იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა მდგომარეობის მონიტორინგი და ყოველთვიური ანგარიშის შედგენა, კონსულტაციის გაწევა, თუ ისინი მიმართავენ სახალხო დამცველის აპარატს კონკრეტული პრობლემებით;

-რეგიონულ დონეზე გამოვლენილი პრობლემების ანალიზი და გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადება, იძულებით გადაადგილებული პირთა და კონფლიქტის შედეგად

დაზარალებულთა სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ სახალხო დამცველისა და გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ინფორმირება, შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზება (დევნილთა ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში, რომელიც სახალხო დამცველის აპარატსა და საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან ინფორმაციის გაცვლის და შემდგომი თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ იქნება მიმართული);

-ურთიერთობების გაძლიერება ბავშვთა უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

-სოციალური მედიის ჩართვა ცნობიერების ამაღლების მიზნით;

-ბავშვთა ცენტრში დაგეგმილი ყველა აქტივობის გაძლიერება საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით;

-ბავშვთა ფორუმების დაგეგმვა და ჩატარება, ბავშვთა მრჩეველთა საბჭოს კოორდინირება;

-სახალხო დამცველის ოფისის IT ინფრასტრუქტურის გაძლიერება და გაუმჯობესება, IT პერსონალის გადამზადება;

-ეროვნული პრევენციული მექანიზმის სამონიტორინგო ფუნქციის გაძლიერება ფსიქიატრიულ ინსტიტუტებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეზიდენტულ დაწესებულებებში; ამ დაწესებულებებში ეფექტური მონიტორინგის ჩატარების გზით ადამიანის უფლებების დაცვა; ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ამ დაწესებულებების ბენეფიციართათვის; უფლებების დარღვევის შემთხვევების დაფიქსირება, მათ ასახვა სახალხო დამცველის სპეციალურ და წლიურ ანგარიშებში და რეკომენდაციებში.

გრანტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ აქტივობებს ახორციელებენ როგორც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, ასევე სხვა ფიზიკური პირები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. გრანტისა და შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებს განხორციელებული აქტივობების შესრულების შესახებ შესაბამისი ანგარიშების წარდგენას სახალხო დამცველის აპარატისა და დონორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში აისახება სახალხო დამცველის სპეციალურ და წლიურ ანგარიშებში და რეკომენდაციებში.

მიზნობრივი გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან შეადგენს:

| წელი | ნაშთი<br>წლის<br>დასაწყისში | შემოსავალი (ლარში) | ხარჯი (ლარში) | ნაშთი<br>წლის<br>ბოლოს |
|------|-----------------------------|--------------------|---------------|------------------------|
| 2011 | 46 342                      | 95 445             | 123 911       | 17 876                 |
| 2012 | 17 876                      | 834 198            | 795 543       | 56 531                 |

2011 წელს გრანტის ფარგლებში ასევე გადმოცემულია სულ 61 721 ლარის აქტივები, რომელიც შეადგენს გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) მიერ გადმოცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს (HYUNDAI TUCSON IX35 სახელმწიფო ნომრით QKQ 330 და LADA NIVA VAS21214 BPB727) ღირებულებით 50 244 ლარი და ევროპის საბჭოს ოფისის მიერ გადმოცემულ კომპიუტერებს - ღირებულებით 11 477 ლარი.

| მიზნობრივი გრანტების ხარჯვა 2011-2012წ.                                       |         |
|-------------------------------------------------------------------------------|---------|
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება                                             | 462 144 |
| მივლინება                                                                     | 27 925  |
| ოფისის ხარჯები                                                                | 30 923  |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                                                     | 21 259  |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის<br>ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 41 996  |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება                                        | 154 476 |
| სხვა ხარჯები                                                                  | 7 737   |
| საწევრო გადასახადები                                                          | 9 612   |
| არაფინანსური აქტივების ზრდა                                                   | 163 382 |

**აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი:**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით აუდიტის ობიექტები, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილი არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

**აუდიტორების ხელმოწერები:**

**უფროსი აუდიტორი**

ნინო ამირანაშვილი

ნ. ამირანაშვილი 28.02.14

**უფროსი აუდიტორი**

მანანა ღვინაძე

მ. ღვინაძე 28.02.14

**აუდიტორი**

ნანა ვაჩაძე

ნ. ვაჩაძე 28.02.14

საქართველოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

ფორმა N1 - ბალანსი 2011

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

|                                             | 31/12/2010        | 31/12/2011        |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
